

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის  
განათლებისა და კულტურის სამინისტრო

2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის სამინისტროს სამოქმედო გეგმა მიმოიხილავს სამინისტროს გრძელვადიან ხედვას განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებში, სამინისტროს დანიშნულებას, ძირითად ფუნქციებსა და უმნიშვნელოვანეს მიზნებს 2012-2015 წლისათვის.

სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სამინისტროს სამუშაო დოკუმენტს, რომელიც ხელს უწყობს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ მუშაობას საერთო მიზნების მისაღწევად. გეგმა შეიცავს ექვს პრიორიტეტულ მიმართულებას. თითოეული მათგანისთვის მოცემულია ის შედეგები, თუ რის მიღწევას აპირებს სამინისტრო ამ მიმართულებით საშუალოვადიან პერიოდში.

## **1. პრიორიტეტის დასახელება: ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება**

### **პრიორიტეტის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე**

წარმატებული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საყრდენს განათლებული საზოგადოება წარმოადგენს. სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი სწორედ მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და, შესაბამისად, ქვეყნის მომავალში რესურსების ინვესტირებაა. ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობამ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს და მრავალი ინიციატივა

განხორციელეს. ამჟამად მიმდინარეობს რეფორმების მეორე ეტაპი, რის შედეგადაც 2015 წელს ზოგადი განათლების სრულყოფილ სისტემას მივიღებთ.

თავისი აქტივობებით აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ხელს უწყობს ამ რეფორმების წარმართვასა და გატარებას აფხაზეთის განათლების სისტემაში. სამინისტრო ასევე აძლიერებს საქართველოს ხელისუფლების და აფხაზეთის მთავრობის ძალისხმევას საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის აღდგენისთვის და ახორციელებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობის მხარდაჭერის ფართომასშტაბიანი სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელების გზით. ის ხელს უწყობს აგრეთვე ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებას.

### **პრიორიტეტის აღწერა**

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო უზრუნველყოფს ზოგადი განათლების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას აფხაზეთის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2009 წლის ივლისში სამინისტრომ შეიმუშავა სამშვიდობო განათლების პრიორიტეტები, რომლებიც ასევე განსაზღვრავენ მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს ი.გ.კ. საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით.

სამინისტრო უზრუნველყოფს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში განთავსებული აფხაზეთის 13 საჯარო სკოლასა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე-გალის რაიონში განთავსებული 31 სკოლაში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას. სამინისტრო აგრეთვე ახორციელებს ოკუპირებული გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისა და მუსიკალური და სამხატვრო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციული პერსონალის მატერიალური დახმარების პროგრამებს.

პრიორიტეტის განხორციელების ფარგლებში სამინისტროს მიზანია ხელი შეუწყოს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას, აფხაზეთის პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას, აფხაზეთის საჯარო სკოლების რეაბილიტაციას, შენობებითა და სასწავლო ინვენტარით უზრუნველყოფას, სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვას, აფხაზეთის საზოგადოების ნდობის მოპოვებას, აფხაზეთის ენის სწავლების ხელშეწყობას და განვითარებას, გალის რაიონის სკოლებში ქართულ ენაზე განათლების მიღების ხელმისაწვდომობას, სკოლებში მოსწავლეთა

თვითმმართველობების შექმნასა და პოლიტიკური კულტურის სწავლებას, აფხაზეთის ახალგაზრდების ჩართულობას სხვადასხვაგვარ კონკურსებში, კონფერენციებსა თუ ოლიმპიადებში და მათ „მომავლის რესურსად“ გაზრდას - კომპეტენტური, კონკურენტუნარიანი და თანამედროვე განათლებით.

### მოსალოდნელი შედეგები

პრიორიტეტით განსაზღვრული მიზნების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში სამინისტრო გეგმავს მიაღწიოს შემდეგ შედეგებს:

- განხორციელდა აფხაზეთის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია/აღჭურვა.
- გაძლიერდა უცხო ენებისა და აფხაზური ენის სწავლება.
- გაიზარდა მასწავლებელთა მოტივაცია პროფესიული განვითარებისათვის, მათი ჩართულობა სხვადასხვა პროფესიულ ტრენინგ-პროგრამებში.
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები მარაგდება საჭირო თვალსაჩინოებებით.
- მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ და იმარჯვებენ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებსა და კონკურსებში.
- სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე მოსწავლეთა წარმატება.
- სამშვიდობო განათლების ინიციატივების ფარგლებში აფხაზეთის ყველა საჯარო სკოლაში შექმნილია სამშვიდობო განათლებისა და მწიგნობართა კლუბები, ინტელექტუალური თამაშების გუნდები.
- უზრუნველყოფილია ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებში მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა.
- გაზრდილია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ახალგაზრდებისათვის პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების მისაწვდომობა.
- მოწესრიგებულია კომუნიკაცია ოკუპირებული გალის რაიონის ყველა სკოლასთან. გაუმჯობესებულია სასკოლო ინფრასტრუქტურა.
- რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით შექმნილია მექანიზმები „ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ“ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის

ფარგლებში განათლების კუთხით გასატარებელი ღონისძიებების განხორციელებისათვის.

## შედეგების შეფასების კრიტერიუმები

დასახული მიზნების ინდიკატორებია:

- სერთიფიცირებულ პედაგოგთა რაოდენობის ზრდა. მათ შორის იმ პედაგოგთა რაოდენობის გაზრდა, რომელთაც წარმატებით ჩააბარეს ინგლისურისა და კომპიუტერული უნარ-ჩვევების ინტეგრირებული ტესტი.
- უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ აბიტურიენტთა შორის გრანტირებულ სტუდენტთა რაოდენობის ზრდა.
- ოკუპირებული გალის რაიონის ტერიტორიაზე სკოლადამთავრებულ სტუდენტთა რაოდენობის ზრდა სახელმწიფო დაფინანსებით.
- ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენის ტესტში აფხაზეთის აბიტურიენტთა საშუალო ქულის ზრდა. განსაკუთრებით ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება ოკუპირებული აფხაზეთის აბიტურიენტებისათვის, რომელთა შორის უპირატესობა ენიჭება რუსულს, როგორც უცხო ენას.
- ჩართულობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში გატარებული ღონისძიებების შედეგად ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ აბიტურიენტთა რაოდენობის ზრდა.
- კონკურსებში, კონფერენციებსა და ოლიმპიადებში მონაწილე და გამარჯვებულ მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა.
- განათლების ხარისხით მშობელთა კმაყოფილების მაჩვენებლის ზრდა(საწყისი და განმეორებითი კვლევის შედეგების მიხედვით).

## 2.პრიორიტეტის დასახელება:

### აფხაზეთის კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია

#### პრიორიტეტის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

პრიორიტეტი ემსახურება ქვეყანაში არსებული აფხაზეთის შემოქმედებითი რესურსებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის დაცვას, განვითარებას, პოპულარიზაციას, მათ სამშვიდობო როლის წარმოჩენას, აფხაზეთისა და საქართველოს შემოქმედებით ორგანიზაციებს შორის ტრადიციული კულტურული კავშირების აღდგენას, აფხაზეთის მოსახლეობისათვის სახელოვნებო ცხოვრების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ხელოვნების სფეროში თავისუფალი, დაცული და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, სახელოვნებო დაწესებულებების შედეგზე ორიენტირებული სამოქმედო პროგრამების ადეკვატურ დაფინანსებას, მათ მხრდაჭერაში არასახელმწიფო სექტორის როლის ზრდის ხელშეწყობას.

პრიორიტეტის მიზანია აგრეთვე სახელმწიფოს ხელშეწყობა მსოფლიოში საქართველოს პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბებაში, აფხაზეთის კულტურის, როგორც ერთიანი ქართული კულტურის ორგანული ნაწილის წარმოჩენაში, ასევე შესაძლებლობის ფარგლებში, აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მდგომარეობის მონიტორინგი და ძეგლებზე არსებული ინფორმაციის სისტემატიზაცია.

#### პრიორიტეტის აღწერა

1993 წლის 27 სექტემბრის შემდგომ აფხაზეთის მრავალი შემოქმედებითიკოლექტივი, ინდივიდუალური შემსრულებელი თუ ხელოვანი აღმოჩნდა დევნილობაში. მიუხედავად განვლილი რთული პერიოდისა, ბევრი

მათგანი დღესაც აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა. აფხაზეთის მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია აფხაზეთის სახელმწიფო თეატრები, რომლებიც აფხაზეთის თემის, აფხაზეთის კულტურულ თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და კულტურულ ტრადიციების გაგრძელებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ. აღსანიშნავია აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლისა და ახალგაზრდული კაპელას წარმატებები საერთაშორისო ასპარეზზე. აფხაზეთის მთავრობის უშუალო ხელშეწყობით განხორციელდა აფხაზეთის უმნიშვნელოვანესი სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებების დ. არაყიშვილის სახ. სოხუმის სამუსიკო სასწავლებლისა და ა. შერვაშიძე-ჩაჩბას სახ. სამხატვრო სასწავლებლის დაფუძნება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად.

ახალგაზრდების კულტურულ-შემოქმედებითი აღზრდა-განათლებაზე ასევე ზრუნავენ სამუსიკო სკოლები „აფხაზეთი-1“, „აფხაზეთი-2“, სამხატვრო სკოლა „აფხაზეთი 1“ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი ქ. გალისა და საბერიოს მუსიკალური სკოლები და გალის სამხატვრო სკოლა.

სამინისტრო განავითარებს ფოლკლორის სფეროში მოღვაწეთა შესახებ ინფორმაციის შეგროვების მექანიზმს. ამ ინფორმაციას სამინისტროს რეგულარულად წარუდგენენ კულტურული დაწესებულებები. გეგმით გათვალისწინებულია ამ მონაცემების გაერთიანება ერთ ბაზაში და ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი ასპექტია აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო საზოგადოებისათვის, აფხაზური ენისა და ფოლკლორის ტრადიციების შენარჩუნება-განვითარება. ამ მიზნით ჩაეყარა საფუძველი ყოველწლიურ სახალხო დღესასწაულს „აფხაზეთობა“.

სამინისტროს მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს აფხაზეთის კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე. სპეციალური მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში სამინისტრო დააფინანსებს ან მოიძიებს პარტნიორებს კულტურის სფეროში საერთაშორისო პროექტების განხორციელებისათვის. სამინისტრო ასევე ხელს შეუწყობს აფხაზეთიდან დევნილ

მეცნიერთა მდიდარი ინტელექტუალური პოტენციალის გაღრმავებას და აფხაზეთის თემატიკის სამეცნიერო –აკადემიურ წრეებში კიდევ უფრო წარმოჩენას.

### **მოსალოდნელი შედეგები**

პრიორიტეტით განსაზღვრულ მიზნების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში სამინისტრო გეგმავს მიაღწიოს შემდეგ შედეგებს:

- ხელმისაწვდომია ფოლკლორის სფეროში მოღვაწეთა მონაცემთა ბაზა.
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით შექმნილია აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მდგომარეობის მონაცემთა ბაზა.
- შექმნილია საერთაშორისო მექანიზმები აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაციისა და კონსერვაციის უკანონო ქმედებების აღკვეთასთან დაკავშირებით.
- მიმდინარეობს აფხაზური ენის განვითარებისა და სწავლების ხელშეწყობის პროგრამა.
- აფხაზეთის შემოქმედებითი კოლექტივები, როგორც ქართული, ასევე აფხაზური, ჩართულნი არიან საქართველოსა და საერთაშორისო კულტურული ღონისძიებების ერთიან სახელმწიფო პროგრამაში.
- უზრუნველყოფილია აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების მიერ დაწყებითი სახელოვნებო განათლების მიღების ხელმისაწვდომობა.
- რეგულარულად ტარდება ფოლკლორული ჯგუფების ფესტივალები და ასევე უზრუნველყოფილია მათი მონაწილეობა უკვე არსებულ ტრადიციულ ფესტივალებში.
- სამინისტროს ეგიდით გამოიცემა აფხაზეთის კულტურასა და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა.
- ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ცხადდება კონკურსი ხელოვნებისა და მეცნიერების დარგში გ.შარვაშიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.



## შედეგების შეფასების კრიტერიუმები

ჩამოთვლილი შედეგების შესაფასებლად სამინისტრო გამოიყენებს შემდეგ ინდიკატორებსა და გადამოწმების წყაროებს.

- შექმნილია აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ვებ-გვერდი.
- რეგულარულად განახლებადი ვებ-გვერდის მეშვეობით გაზრდილია საზოგადოების ინფორმირებულობა აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე.
- დაწყებულია მუშაობა საერთაშორისო მონიტორინგის ჯგუფის შესაქმნელად აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შესწავლისა და რეაგირების მიზნით.
- წინა წლების მონაცემებთან შედარებით გაზრდილია კულტურის სფეროში საერთაშორისო პროექტების რიცხვი და ამ პროექტებში ჩართული ადამიანების რაოდენობა-რაზეც მეტყველებს პროგრამის დოკუმენტი და პროგრამის ანგარიშები.
- კულტურის სფეროში მოღვაწეთა ელექტრონული ბაზა განთავსებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე.

### 3.პრიორიტეტის დასახელება:

აფხაზეთის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ხელშეწყობა

#### პრიორიტეტის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

სამშვიდობო პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი მძლავრი და სტრატეგიული მიმართულება გახლავთ სპორტი. სპორტული ასპარეზობები ხელს უწყობს სხვადასხვა ეროვნების, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სპორტსმენტა დაახლოებას, მათ ინტეგრაციასა და ქვეყნის სპორტული მიღწევების განმტკიცებას საერთაშორისო დონეზე.

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების უმეტესობა მოკლებულია მასიურ სპორტში ჩართვის შესაძლებლობას. მათი სპორტით დაინტერესება უნდა გახდეს მოზარდი თაობის დაახლოების, ნდობის, ადამიანური ურთიერთობის და მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშემწყობი. მათ მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ ქვეყნის სპორტულ წარმატებებში.

სოციალურ-ეკონომიკური დაუკმაყოფილებლობა, ინდივიდუალური უნარ-ჩვევებისა და ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობის არქონა, უპერსპექტივობა დევნილ ახალგაზრდობას ფსიქოლოგოურ წნეხის ქვეშ აქცევს, რის შედეგადაც მატულობს ძალადობა, ღირებულებების დეგრადაცია, აგრესია, როგორც პიროვნულ, ასევე საზოგადოებრივ დონეზე. აქედან გამომდინარე, სამინისტროს ძირითადი მისიაა ახალგაზრდებში სახელმწიფოებრივი აზროვნების, სამოქალაქო და დემოკრატიული ღირებულებების პატივისცემის დანერგვის, აქტიური მოქალაქეობის, მოხალისეობის, კანონის პატივისცემის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება, ასევე მათი გონებრივი და ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობა.

### **პრიორიტეტის აღწერა**

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო უზრუნველყოფს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას. სპორტის სფეროში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს პრიორიტეტებს წარმოადგენს აფხაზეთში პოპულარული და ტრადიციული სპორტის სახეობების (ფეხბურთის, კალათბურთის, ძალოსნობის, თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას, აღმოსავლურ ორთაბრძოლებს და ჭადრაკის) ხელშეწყობა და სხვა სახეობების წარმატებული სპორტსმენების ინდივიდუალური მხარდაჭერა.

აფხაზეთის მთავრობის ამოცანებს სპორტული მიმართულებით ახორციელებს სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრი . 2012 წლისთვის ცენტრი კურირებს საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის სხვადასხვა ლიგაში 9 აფხაზეთის ახალგაზრდული გუნდის მონაწილეობას, რომელშიც ჩართულია 300-მდე სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდა. ცენტრის ფარგლებში ასევე მოქმედებს 13 სპორტული სექცია და საერთო ჯამში სპორტულ აქტივობებში ჩართულია 400-მდე ბავშვი.

სამინისტროს მიზანია ხელი შეუწყოს აფხაზეთის სპორტსმენების მონაწილეობას ეროვნულ თუ საერთაშორისო ტურნირებზე, სპორტული გუნდების (მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიიდან) უზრუნველყოფას შესაბამის ინვენტარითა და ეკიპირებით.

აგრეთვე გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების განვითარება ფიზიკური აღზრდისა და პრიორიტეტულ სახეობებში სპორტული წვრთნის კუთხით (ფედერაციებთან თანამშრომლობით). განათლების რეფორმის ფარგლებში შემუშავდა ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც ადგენს სტანდარტებს ფიზიკური აღზრდისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ყველა საფეხურისა და კლასისათვის. მიზნობრივი პროგრამა უზრუნველყოფს ამ სტანდარტების მიხედვით მასწავლებელთა გადამზადებას და სპორტის გაკვეთილების შემოღება ხელს შეუწყობს ფიზიკური აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებას აფხაზეთის საჯარო სკოლებსა და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებში.

სამინისტრო მნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნევს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროსთან და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბებას. სამინისტროს მიზანია აფხაზეთის ახალგაზრდებს გაცნობიერებული ჰქონდეთ პასუხისმგებლობა ქვეყნისა და მისი მომავლის წინაშე, საკუთარი როლი საზოგადოებაში, განვითარებული ჰქონდეთ სწრაფვა, იყვნენ სასარგებლო ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის, პატივი სცენ სხვა ადამიანის პიროვნულ ღირებულებებს და ჰქონდეთ სურვილი იზრუნონ საზოგადოების სხვა წევრებზე; ჰქონდეთ მოტივაცია თავად გადაწყვიტონ მათ წინაშე არსებული ამოცანები, თავად შექმნან კონკრეტული ინიციატივები.

### **მოსალოდნელი შედეგები**

პრიორიტეტის განხორციელების ფარგლებში სამინისტრო გეგმავს მიაღწიოს შემდეგ შედეგებს:

- გაზრდილია სპორტსმენების მოტივაცია სპორტული მიღწევების გაუმჯობესებისათვის, პროფესიულ სპორტში ახალგაზრდების ჩართულობის ხარისხი.

- გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა ზოგადსაგანმანათლებლო და სასპორტო სკოლებში.
- გაზრდილია მწვრთნელთა კვალიფიკაცია.
- შექმნილია უმაღლესი მიღწევების სპორტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გეგმა და დაინტერესებულია პოტენციური ინვესტორები.
- გაუმჯობესებულია ახალგაზრდულ საქმეთა განვითარების მიმართულება.
- შექმნილია სპორტის მოღვაწეთა ელექტრონული ბაზა.

### **შედეგების შეფასების კრიტერიუმები**

ჩამოთვლილი შედეგების შესაფასებლად სამინისტრო გამოიყენებს შემდეგ ინდიკატორებსა და გადამოწმების წყაროებს:

- შემუშავებულია ხედვა სპორტის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ.
- ამოქმედებულია სპორტული მიღწევების წამახალისებელი მექანიზმები-ჯილდოებისა და თასების გადაცემის სახით.
- გაზრდილია მასობრივ და პროფესიულ სპორტში ჩართულ ადამიანთა რაოდენობა .
- გაზრდილია აფხაზეთის სპორტსმენებს შორის ეროვნულ და საერთაშორისო სარბიელზე პრიზიორთა და გამარჯვებულთა რაოდენობა.
- 2013 წლისთვის ყველა სკოლა მომარაგებულია სპორტული ინვენტარის სტანდარტული პაკეტით. გაუმჯობესებულია სპორტული ინფრასტრუქტურა.
- სპორტული მომზადების ცენტრს აქვს საშუალოვადიანი განვითარების გეგმა.
- გათვალისწინებულია მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებების ჩატარება სამინისტროს სამშვიდობო ღონისძიებების ფარგლებში.
- რეგულარულად ტარდება აფხაზეთის ღია ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. აღნიშნული ჩემპიონატები შესულია ქვეყნის ერთიან სპორტულ კალენდარულ გეგმაში.

**4. პრიორიტეტის დასახელება:**  
**სამშვიდობო და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა**

**პრიორიტეტის დასახუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ატარებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას და ხელს უწყობს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების დანერგვას მის დაქვემდებარებაში მყოფ ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში. სამინისტრო მოწოდებულია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ახალგაზრდებს შეუქმნას ხარისხიანი განათლების მიღებისათვის სათანადო სასწავლო პირობები და გარემო.

სამშვიდობო განათლების მხარდაჭერა მეტად მნიშვნელოვანია მომავალი თაობის სამშვიდობო ხედვებით აღზრდისათვის, რათა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ახალგაზრდებს მიეცეთ საშუალება გამოავლინონ ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობები.

გარდა ამისა, „ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის“ სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს მთავრობას განზრახული აქვს აგრეთვე ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორცაა:

- ოკუპაციის შედეგად გაყოფილ ტერიტორიებზე მცხოვრებ, საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა;
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული და ამ ტერიტორიებზე ამჟამად მცხოვრები მოსახლეობის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის ხელშეწყობა.

ამიტომაც პრიორიტეტით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება ხელს შეუწყობს სახელმწიფო სტრატეგიით დასახული მიზნების მიღწევას.

## პრიორიტეტის აღწერა

2009 წლის ივლისში სამინისტრომ შეიმუშავა სამშვიდობო და სამოქალაქო განათლების პრიორიტეტები, რომლებიც ასევე განსაზღვრავენ მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საგანმანათლებლო და სოციალური საჭიროებების გათვალისწინებით. ქვეყნის დემოკრატიული განვითარება პირდაპირ კავშირშია საზოგადოების პოლიტიკურ კულტურასთან, ვინაიდან ქვეყნის დემოკრატიული განვითარების საფუძველს მისი მოქალაქეების ღირებულებები განაპირობებს. შესაბამისად ახალგაზრდების განვითარება, დემოკრატიული ფასეულობების ჩამოყალიბება სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ პრიორიტეტის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებები უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ:

- ახალგაზრდებს ჩამოყალიბდეთ სახელწიფოებრივი აზროვნება, სამოქალაქო და დემოკრატიული ღირებულებები. ჰქონდეთ საშუალება, იცნობდნენ მათი, როგორც ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებს, გამომუშავებული ჰქონდეთ კანონის პატივისცემის გრძნობა;
- ახალგაზრდები ორიენტირებულნი იყვნენ საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებაზე, აცნობიერებდნენ, რომ ახალგაზრდული ასაკი საუკეთესო პერიოდია დამატებითი უნარ-ჩვევების შესაძენად, გააჩნდეთ შესაბამისი სურვილი და მოტივაცია მეტი ცოდნის მიღებისა და საკუთარი შესაძლებლობების განვითარებისა;
- ახალგაზრდებს გაცნობიერებული ჰქონდეთ პასუხისმგებლობა ქვეყნისა და მისი მომავლის წინაშე, საკუთარი როლის შესახებ საზოგადოებაში, იყვნენ სასარგებლო სახელმწიფოსათვის და საზოგადოებისთვის, პატივი სცენ სხვა ადამიანის პიროვნულ ღირებულებებს და გააჩნდეთ სურვილი იზრუნონ საზოგადოების სხვა წევრებზე;
- ახალგაზრდებს გააჩნდეთ უნარი თავად გადაწყვიტონ მათ წინაშე არსებული ამოცანები, შექმნან კონკრეტული ინიციატივები, რომლებიც ახალგაზრდებისთვის არის მნიშვნელოვანი;
- ახალგაზრდებში პოპულარული იყოს ჯანსაღი ცხოვრების წესი, შესაბამისად ჯანსაღ საზოგადოებაში ცხოვრების სურვილი;

- ახალგაზრდებმა წარმოაჩინონ და განავითარონ ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ინიციატივები (“რა? სად? როდის?” აფხაზეთის სასკოლო ლიგის განვითარება და აფხაზეთის ნაკრების შექმნა), რომელიც ხელს შეუწყობს ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენას სხვადასხვა დარგში და ასევე დაეხმარება მათ დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებაში, თვითრეალიზაციასა და მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბებაში.

## **მოსალოდნელი შედეგები**

პრიორიტეტის ეფექტურად განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ახალგაზრდებს გამოავლინონ საკუთარი ინტელექტუალური და შემოქმედებითი შესაძლებლობები, დააკავშირებს მათ ერთმანეთთან და დააჩქარებს ფართო საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროცესს, რაც დაეხმარება მათ მომავლის სწორად დაგეგმაში.

აღნიშნულ პროგრამებში მონაწილე მოზარდები გააცნობიერებენ, რომ ახალგაზრდობა ის თაობაა, რომელმაც მომავალში უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს სრულყოფილი ფუნქციონირება და რომ სწორედ მათ ძალუბთ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ქვეყნის სრული დეოკუპაციის საქმეში.

## **შედეგების შეფასების კრიტერიუმები**

პრიორიტეტით განსაზღვრული შედეგების შესაფასებლად სამინისტრო გამოიყენებს ისეთ კრიტერიუმებს, როგორცაა:

- ახალგაზრდების ჩართულობის მაჩვენებელი სხვადასხვა პროექტებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და გაცვლით პროგრამებში,
- მათი აქტიური მონაწილეობა სათემო პროექტების განხორციელებაში;
- საგნობრივ ოლიმპიადებში მოპოვებული წარმატებები.

## 5. პრიორიტეტის დასახელება:

### აფხაზეთის მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფის მხარდაჭერა

#### პრიორიტეტის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

1993 და 2008 წლებში რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შემდგომ, როგორც ცნობილია, აფხაზეთი დატოვა მისი ძირძველი მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ. დღემდე მხოლოდ მათი მცირედი ნაწილი დაბრუნდა ოკუპირებულ გალის რაიონში. ოკუპირებულ აფხაზეთში უკვე რამდენიმე თაობა გაიზარდა ქართველებთან თანაცხოვრების გარეშე. ისინი არ იცნობენ ქართულ კულტურას, წეს-ჩვეულებებს. საზოგადოებას, მიზანმიმართულად, დამახინჯებით მიეწოდება ინფორმაცია ისტორიული რეალობის შესახებ.

აფხაზეთის ამჟამინდელი მოსახლეობა თითქმის არ არის ინფორმირებული იმ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ თუ სპორტულ წარმატებებზე, რასაც მიაღწია საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში. მნიშვნელოვანია, მოსახლეობამ იცოდეს, რომ საქართველოს მთავრობა მოწოდებულია მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით განახორციელოს აფხაზეთის მოსახლეობის რეინტეგრაცია და აფხაზეთის დეოკუპაცია.

#### პრიორიტეტის აღწერა

ვინაიდან ქართული ტელემაუწყებლობის გავრცელება ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე შეუძლებელია, ამიტომ პრიორიტეტის განხორციელება მიზანშეწონილია რადიომაუწყებლობის საშუალებით. მაუწყებლობის ენა ძირითადად რუსულია, აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანისათვის მისაწვდომობის გამო.

გადაცემების თემატიკა ძირითადად უნდა იყოს შემდეგი:



- ისტორიები აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის ერთობლივ თანაცხოვრებიდან. საზოგადოებაში უნდა გაიზარდოს ცოდნა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა ტრადიციების შესახებ. გადაცემა ერთმნიშვნელოვნად უნდა იყოს მიმართული ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენისაკენ.
- ყოველკვირეული საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემა, რომელიც მიმოიხილავს ოკუპირებულ აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენებს, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის გადაწყვეტილებებს, ასევე დანარჩენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენებს.
- შემეცნებით-საგანმანათლებლო რუბრიკა: აფხაზეთის ისტორიის, გეოგრაფიისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმოხილვა. ამ გადაცემის მეშვეობით საზოგადოებაში უნდა გაღრმავდეს ცოდნა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქალაქების, დაბების და ისტორიული ძეგლების, ლანდშაფტისა და ფლორა-ფაუნის შესახებ.

აღნიშნული პრიორიტეტის განსახორციელებლად აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო შეარჩევს იმ რადიო კომპანიას, რომლის გადაცემები შესაძლებელია გავრცელდეს ოკუპირებულ აფხაზეთის უმეტეს ტერიტორიაზე და აქვს რუსულენოვანი გადაცემების წარმოების რესურსი.

### **მოსალოდნელი შედეგები**

პრიორიტეტით განსაზღვრული მიზნების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში სამინისტრო გეგმავს მიაღწიოს შემდეგ შედეგებს:

- გაზრდილია ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხი საქართველოში მიმდინარე პროცესებზე.
- გაზრდილია ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობის (განსაკუთრებით ეთნიკური აფხაზების) დაინტერესება დანარჩენ საქართველოში

განათლების, ჯანდაცვისა თუ სხვა სფეროში ხარისხიანი მომსახურების მიღების თაობაზე.

- გაზრდილია სახალხო დიპლომატიის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში ჩართულ ადამიანთა რაოდენობა.

### **შედეგების შეფასების კრიტერიუმები**

ჩამოთვლილი შედეგების შესაფასებლად სამინისტრო გამოიყენებს შემდეგ ინდიკატორებსა და გადამოწმების წყაროებს:

- სამინისტრო კომუნიკაციების ეროვნულ მარეგულირებელი კომისიისაგან სისტემატურად გამოითხოვს ინფორმაციას შერჩეული რადიოკომპანიის სიხშირის გავრცელების შესახებ აფხაზეთის ტერიტორიაზე.
- სამინისტრო თავისი პარტნიორი არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სკოლების მეშვეობით მოიპოვებს ინფორმაციას რადიოგადაცემების საზოგადოებრივ გავლენაზე დასახელებულ მიზნებთან მიმართებაში.

### **6. პრიორიტეტის დასახელება: სამინისტროს ინსტიტუციური განვითარება**

#### **პრიორიტეტის დასაბუთება არსებული სიტუაციიდან გამომდინარე**

სამინისტროს ბოლო სტრუქტურული რეორგანიზაცია 2009 წელს განხორციელდა, რის შედეგადაც გაიზარდა თანამშრომელთა რაოდენობა ფუნქციებისა და მომსახურებების ფორმების ზრდის გათვალისწინებით. ამჟამად სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მუშაობს 54 თანამშრომელი. სამინისტრო ხელს

უწყობს გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვას, გაზიარებული ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას და აადვილებს კომუნიკაციის პროცესს. თუმცა, ამ მიმართულებით კვლავაც არის რამდენიმე კომპონენტი, რომელიც შემდგომ დახვეწას საჭიროებს.

კერძოდ, სამინისტროს მნიშვნელოვნად მიაჩნია:

- თემატურ სამმართველოებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება, რათა უფრო ეფექტურად დაიგეგმოს გამჭოლი პროცესები და გამოიკვეთოს გამჭოლი პრიორიტეტები.
- ადამიანური რესურსების განვითარების ზოგადი ხედვის ჩამოყალიბება: სამინისტროს ორგანიზაციულ მოდელში არ არის ფორმალურად ინტეგრირებული ადამიანური რესურსების განვითარების პროცესები და პროცედურები. სამინისტროს დებულების თანახმად, ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია ადმინისტრაციული დეპარტამენტი, თუმცა ამ ეტაპისათვის ეს ფუნქცია მეტ გამლასა და დაკონკრეტებას საჭიროებს.
- თანამშრომელთა გადამზადების სქემების ამოქმედება: სამინისტროში ჯერ-ჯერობით არ არსებობს თანამშრომელთა გადამზადების ფორმალიზებული პროცედურები. თუმცა ამ მხრივ გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი- 2011 წელს გახორციელდა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი საყოველთაო ერთჯერადი ტრენინგები.

### **პრიორიტეტის აღწერა**

სამინისტროს ინსტრუქციური განვითარება მნიშვნელოვანი კომპონენტია სამოქმედო გეგმაში, რადგან ის ხელს უწყობს ყველა სხვა მიმართულებით დასახული შედეგების მიღწევას.

ერთის მხრივ, პრიორიტეტით გათვალისწინებული აქტივობები ხელს უწყობს სამინისტროს შიდა ორგანიზებული რესურსების და პროცესების განვითარებას, მეორეს მხრივ კი სამინისტროს გარე კონტაქტების, გარემოსთან ურთიერთობის მექანიზმების სრულყოფას.

სამინისტრო მოიაზრება როგორც ღია სისტემა, რომელიც აქტიურ ურთიერთქმედებაშია ინსტიტუციურ გარემოში არსებულ ყველა სუბიექტთან, დროულად და აქტიურად პასუხობს გარემოში არსებულ გამოწვევებს და ახდენს საკუთარი სერვისისა და პროდუქტების სრულყოფას დაინტერესებულ პირთა ინტერესების გათვალისწინებით.

პრიორიტეტის ფარგლებში სამინისტრო განახორციელებს რიგ აქტივობებს, რომლებიც მოიცავს:

- სამინისტროს ფუნქციური მოდელის გაანალიზებასა და შესაბამისი ცვლილებების გატარებას, რაც ასევე გულისხმობს სამინისტროს დეპარტამენტების გაერთიანებას ერთ შენობაში.
- თანამდებობრივი ინსტრუქციების განსაზღვრას ყველა თანამშრომლისათვის.
- კადრების კონკურსის წესით შერჩევას.
- სამინისტროს თანამშრომელთა ატესტაციას.
- კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გეგმის შემუშავებასა და შესრულებას.
- სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის კომუნიკაციისა და ინფორმაციის სრულყოფილი გაცვლა და კოორდინირებული მუშაობა, როგორც დაგეგმარების კუთხით, ასევე განხორციელების თვალსაზრისით.
- თანამშრომლების საქმიანობის გამარტივება და კონკრეტული ასპექტების ავტომატიზირება, რათა გამონთავისუფლებული დრო მოხმარდეს სამუშაოს ეფექტიანობის გაზრდას;
- პროგრამებისა და პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვის, მონიტორინგისა და პროგრამების შეფასებას უნარ-ჩვევების ტრენინგების განხორციელებას.
- პროგრამების მონიტორინგისა და ანგარიშის ელექტრონული ფორმების შემუშავებასა და დანერგვას, რაც გაზრდის მუშაობის ეფექტურობას.
- შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის დახვეწას.
- სამინისტროს სისტემაში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვას.
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის გეგმის შექმნა და ამოქმედებას.

- სამინისტროსადმი დაქვემდებარებული და დოტაციაზე მყოფი დაწესებულებების საქმიანობის მონიტორინგის პროცედურისა და შესაბამისი ფორმების შემუშავებას.

### მოსალოდნელი შედეგები

პრიორიტეტის განხორციელების ფარგლებში სამინისტრო გეგმავს მიაღწიოს შემდეგ შედეგებს:

- გაუმჯობესებულია სამინისტროს, მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და მისი ტერიტორიული ერთეულების ადამიანური რესურსების კვალიფიკაცია და მართვის სისტემა;
- კოორდინირებულია მუშაობა სამინისტროს ქვედანაყოფების მხრიდან კონკრეტული პროექტების დაგეგმარებისა და ღონისძიებების განხორციელების დროს;
- განსაზღვრულია რისკებისა და დროის მენეჯმენტის სისტემა, ასევე დახვეწილია სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმარების საშუალებები;
- გაუმჯობესებულია პროგრამების მართვის ციკლი;
- ინსტიტუციონალიზირებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმები;
- ოპტიმიზირებულია დოკუმენტბრუნვის პროცესი;
- დახვეწილია სამინისტროსადმი დაქვემდებარებული და დოტაციაზე მყოფი ორგანიზაციების ანგარიშგების მექანიზმი;
- სრულყოფილია სტრატეგიულად მნიშვნელოვან მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მექანიზმები.
- 2012 წლის ბოლოსთვის (დეკემბერი) განისაზღვრება სამინისტროს რისკის მართვის სისტემა, რომელიც ამავე დროს მიმართული იქნება სამინისტროს წინაშე არსებული და შესაძლო რისკების იდენტიფიკაციისკენ.

## შედეგების შეფასების კრიტერიუმები

პრიორიტეტით განსაზღვრული შედეგების შესაფასებლად სამინისტროს მიერ რისკების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე დადგენილი იქნება ეფექტურად და ეფექტიანად განხორციელდა თუ არა შემდეგი ღონისძიებები:

- მკაფიოდ გადანაწილებულია ფუნქციები სტრუქტურულ ერთეულებსა და ცალკეულ თანამშრომელთა შორის - რასაც ადასტურებს მინისტრის რეზოლუცია, შესაბამისი ცვლილებები დებულებებში, ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციები.
- ვაკანსიები შევსებულია კონკურსის გზით - რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმებში და შესაბამის შრომით კონტრაქტებში.
- 2014 წლისთვის ატესტაცია გავლილი აქვს სამინისტროს თანამშრომლების სულ მცირე 80%-ს.
- პროგრამების შემუშავებას საფუძვლად ედება სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგები და სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებები. პროგრამაში ინტეგრირებულია მონიტორინგის გეგმა - რაც ჩანს პროგრამების დოკუმენტაციაში.
- არსებობს დეპარტამენტების თვითშეფასების დამტკიცებული ფორმები და ანგარიშები.
- დოტაციაზე მყოფი ორგანიზებისათვის დანერგილია დაფინანსების განახლებული პროცედურა - ყველა უწყებას აქვს განვითარების გეგმა, რასაც ადასტურებს დამტკიცებული პროცედურა და დოტაციის მოთხოვნის დოკუმენტები.
- ხელმოწერილია არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის მემორანდუმი, სისტემატურად იმართება შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან.